პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 145 (11149) | პარასკევი, 27 ივნისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვერდი).

სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობა (1-ლი გვერდი).

საქართველოს მშრომელები პატრიოტული შრომით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას (1-ლი გვერდი).

საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობა (1-ლი გვერდი).

თბილისის 1500 წლისთავისათვის.— მ. თვარაძე. — ყველაფერს ავტომატი აკეთებს (1-ლი გვერდი).

ვ. შავგულიძე, ო. კაციტაძე, შ. ჯავახაძე. — მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები მშრომელებს გზას უშუქებს კომუნიზმისაკენ (მე-2 გვერდი).

გ. მირიმანიშვილი. — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კოლმეურნეობაში (მე-3 გვერდი).

მ. მიქაძე. — კარგად [illegible] (1-ლი გვერდი).

ბორჯომის ჯანმრთელობის [illegible] (1-ლი გვერდი).

რუმინელ და ბათუმელ მეწავთობეთა მეგობრობა (მე-3 გვერდი).

მ. კოროლიოვი. — ლენინგრადის თოჯინების თეატრის გასტროლები (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განვაზოგადოთ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება

დამთავრდა სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. ამჟამად პარტიული ორგანიზაციები აჯამებენ სწავლების შედეგებს, სახავენ ღონისძიებებს მომავალი სასწავლო წლისათვის პოლიტსკოლებში, წრეებსა და სემინარებში მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახორციელებენ რა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს იდეოლოგიური მუშაობის დარგში, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა განვლილ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს კომუნისტების, უპარტიო აქტივის მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში. საგრძნობლად ამაღლდა მეცადინეობის ხარისხი, გაძლიერდა ჩვენი კადრების ინტერესი თეორიის შესწავლისადმი, მნიშვნელოვნად გადიდდა კონკრეტული ეკონომიკის და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეებისა და მათში გაერთიანებული მსმენელების რაოდენობა, პროპაგანდა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პრაქტიკას, ჩვენი ქვეყნის მდიდარი მოვლენებით აღსავსე ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

ახლა პარტიული კომიტეტების, იდეოლოგიური დარგის მუშაკების, ჩვენი პრესის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ღრმად და ყოველმხრივ განაზოგადონ და გაავრცელონ პროპაგანდისტული მუშაობის — მოწინავე პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების, ლექტორთა ჯგუფების, პარტიული განათლების სახლებისა და კაბინეტების საქმიანობის გამოცდილება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეული ამ დარგში გავხადოთ ყველა პროპაგანდისტისა და ლექტორის კუთვნილება და ამით კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიული განათლების დონე.

დღეს „კომუნისტი“ აქვეყნებს მასალებს ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების შესახებ. რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი მოწინავე პარტიული ორგანიზაციის წარმატებები საყურადღებოა, იმის ღირსია, რომ მას გაეცნონ ჩვენი პარტიული აქტივი, პროპაგანდისტული მუშაკები. ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის მიღწეული ამ საქმეში შემთხვევითი როდია. საქალაქო კომიტეტი, მისი ბიუროო ყოველდღიურად და საქმიანად ხელმძღვანელობენ პარტიული განათლების საქმეს, ზრუნავენ სწავლების ხარისხის, კადრების, აქტივის, ყველა კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

მომავალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში კიდევ მეტი ამოცანები ისახება. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ახლავე მიიღონ ზომები სწავლების ორგანიზებულად დაწყებისათვის, თავიდან აიცილონ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც წრეებისა და სემინარების მუშაობაში იყო, გაუმჯობესონ პროპაგანდისტული კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმე. უნდა გვახსოვდეს, რომ პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა, იგი განსაზღვრავს სწავლების მიმართულებასა და ხარისხს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პარტიული მუშაკები არა მარტო ხშირად გამოდიოდნენ ლექციებითა და მოხსენებებით პროპაგანდისტების წინაშე, არამედ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პოლიტსკოლებს, წრეებსა და სემინარებს.

ზაფხულის თვეები შესვენების პერიოდი როდია პარტიული განათლების ქსელში. პარტიული კომიტეტები ამთავითვე უნდა შეუდგნენ კომუნისტების პოლიტიკური განათლების ფორმის შერჩევას, ამასთან მტკიცედ დაიცვან ნებაყოფლობის პრინციპი. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს დრო პროპაგანდისტთა მომზადებისათვის.

პროპაგანდისტთა რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო კურსებზე, სადაც მეცადინეობა ამჟამად მიმდინარეობს, დიდი ყურადღება ეთმობა პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების განზოგადებას. პროპაგანდისტებმა ბევრი ახალი და საინტერესო შეიძინეს, რაც მათ ხელს შეუწყობს მომავალ მუშაობაში. აუცილებელია პროპაგანდისტთა სემინარებზე მოვაწყოთ მათი ამ გამოცდილების გაზიარება.

პროპაგანდისტული მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საქმეში დიდი როლი ეკუთვნით პარტიული განათლების კაბინეტებსა და სახლებს. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ პარტიული სახლებისა და კაბინეტების საქმიანობის ყოველმხრივ გაუმჯობესება, გადააქციონ ისინი პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების გავრცელების მძლავრ კერებად.

დიდი ამოცანები დგას ჩვენი პრესის წინაშე. საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები უნდა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს — აამაღლონ პოლიტიკური განათლების დონე, განაზოგადონ და გაავრცელონ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება, გამოავლინონ ნაკლოვანებანი ამ დარგში.

პროპაგანდისტული საქმიანობის გამოცდილების შესწავლა და გავრცელება პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შემადგენელი ნაწილია. აუცილებელია პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ საქმეს. ეს ხელს შეუწყობს კომუნისტების თეორიული სწავლების გაუმჯობესებას, მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას.

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებასთან“ „სავალდებულო ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს მოაწყონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის ფართოდ გაცნობა და მათ მიერ შესწავლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებისა „სავალდებულო ჩაბარებისა და მტსების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა პლენუმზე ამ საკითხის შესახებ, გააცნონ თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია კომკავშირულ ორგანიზაციებს მოაწყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების რგოლებში, ბრიგადებში, ფერმებში, საველე ბანაკებში, მტს-ებში, სარემონტო ტექნიკურ სადგურებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებში საუბრები კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან, წაკითხვა და განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებისა, აგრეთვე კომკავშირული კრებები, რომლებზეც განიხილონ კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და განსაზღვრონ კონკრეტული საქმეები თვითეული კომკავშირული ორგანიზაციისათვის.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო ტექნიკური სადგურების, მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს და კომკავშირელთა და სოფლის მთელი ახალგაზრდობის მეცადინეობა უნდა მოხმარდეს ბრძოლას მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, პროდუქციის ერთეულზე შრომისა და სახსრების ხარჯვის შემცირებისათვის. საჭიროა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსავლის აღების მომზადებასა და მოწყობაში, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მოსავლის ასაღები, მარცვალსაწმენდი მანქანებისა და სახმობი ტექნიკის შეკეთების დამთავრებაში, ბაქნების, ფარდულების, საწყობების შეკეთებისა და მშენებლობის სამუშაოებში, აგრეთვე გზების, მასასვლელი ლიანდაგების და ხიდების შეკეთებასა და მშენებლობაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს კომკავშირის კონტროლს დაუქვემდებარონ სიმინდის მოყვანა, უზრუნველყონ ამ კულტურის ნათესების ხარისხოვანი და დროული მოვლა, არ დაუშვან ნათესების გაუბიროვნება. მიაღწიონ კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლებისა და კომპლექსური აგრეგატების შენარჩუნებას მოსავლის აღების ბოლომდე, ყოველი ღონე იხმარონ, რათა მიაღწიონ იმას, რომ უთუოდ შესრულდეს საკავშირო ალკკ XIII ყრილობის გადაწყვეტილება — მიღებულ იქნას 1958 წელს ახალგაზრდული რგოლების ყველა ნაკვეთზე სიმინდის მწვანე მასის სულ ცოტა 400 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე.

დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ყველა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ გადაჭრით უნდა გამოუცხადონ ბრძოლა უყაირათობას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგსა და გაფუჭებას დამზადების, შენახვისა და გადამუშავების დროს, პირუტყვისა და ფრინველის ცოცხალი წონის დანაკარგს, არარაციონალურ ტვირთზიდვას, უნდა იბრძოლონ სოფლის მეურნეობის დასამზადებელი პროდუქციის გაიაფებისათვის.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა კომკავშირელებს, სოფლის მთელ ახალგაზრდობას აქტიურად ჩაებან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს მშრომელები პატრიოტული შრომით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას

გურჯაანის რაიონი. სოფელი ბაკურციხე. საველე აგიტპუნქტის გამგე შ. მინდორაშვილი კოლმეურნეებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

გვერდისუბნელ კოლმეურნეთა სიტყვა

სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობის წევრებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება.

კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას, 12 სამუშაო დღეში აიღონ მოსავალი, თვითეულ ჰექტარზე გალეწონ 20 ცენტნერი მარცვალი.

განსაკუთრებულ ღონისძიებებს განავახორციელებთ მეცხოველეობის განვითარების საქმეში. 20 ჰექტარ სიმინდის მოსავალს ავიღებთ ჭყინტლ ტაროდ და თვითეულ ძროხაზე ჩავდებთ 10 ტონა სილოსს. ამჟამად ძროხები გადაყვანილი გვყავს ბაგურ-ბანაკურ კვებაზე. პირობას ვიძლევით, წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღოთ 1.800 ლიტრი რძე.

გადაწყვეტილი გვაქვს წელს დიდი რაოდენობით გამოვყოთ საფურაქე სიმინდი, რაც საკმარისი იქნება მთელი წლის განმავლობაში. ამჟამად სუქებაზე დაყენებულია 12 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 25 ღორი და 70 ცხვარი.

ზ. ჟურდაძე,

ხაშურის რაიონის სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩვენი საბრძოლო პროგრამა

ჩვენი პარტიის ივნისის პლენუმის დადგენილება დიდად ზრდის კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას, მათს შემოქმედებითს ინიციატივას.

კოლმეურნეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 10 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, დიდძალი რძე, ბოსტნეული, ხილი, აბრეშუმის პარკი, ტუნგოსა და ციტრუსოვანთა ნაყოფი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

შარშანდელთან შედარებით კოლმეურნეობამ დღეისათვის უკვე მიიღო 8 ტონით მეტი რძე.

თვითეული ურეხელი კოლმეურნე ღრმად სწავლობს ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ფიქრობს იმაზე, თუ პრაქტიკულად როგორ განახორციელოს დადგენილებაში დასახული დიადი ამოცანები.

ი. სურმანიძე,

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კოროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შორეულ მთიან სოფელში

ონი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ მთისკალთის კოლმეურნეები თავდადებული შრომით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებას.

მოწინავე მწველავმა ნ. სხირტლაძემ განაცხადა:

— მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ახალი საბრძოლო ამოცანები დასახა. ჩვენ, მთისკალთელი მეცხოველეები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საამშობლოს მივცეთ მეტი ხორცი, რძე, კარაქი. პირადად მე პირობას ვიძლევი თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღო 2.000 ლიტრი რძე.

სოფელ შარდომეთის ა. ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის ლენინის ორდენოსანმა ბრიგადირმა ი. ქვათაძემ პლენუმის დადგენილების პასუხად ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მიიღოს 90 ცენტნერი ყურძენი.

სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობა

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა V ყრილობის მუშაობის მესამე დღე აღინიშნა დიდი მოვლენით. 60 წლისთავის გამო სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამომხმარებლო კოოპერაციის დაჯილდოების შესახებ დილის სხდომაზე წაიკითხა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარემ ა. პ. კლიმოვმა.

დელეგატები ლაპარაკობდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობასა და ყურადღებაზე სამომხმარებლო კოოპერაციის მიმართ.

ყრილობაზე გრძელდებოდა „ცენტროსოიუზის“ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. აღინიშნეს რა სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევები საანგარიშო პერიოდში, ყრილობის მონაწილეებმა ბევრი კრიტიკული შენიშვნა გააკეთეს „ცენტროსოიუზის“, მისი მთავარი სამმართველოებისა და ადგილობრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის მიმართ. მათ ილაპარაკეს სერიოზულ ნაკლოვანებებზე საქონლის შეზიდვის დაგეგმვაში, არასაკმაო ყურადღებაზე სოფლის მოსახლეობისა და კოლმეურნეობათა მოთხოვნისადმი, დაბალი ხარისხის საქონელზე, რომელიც არც თუ იშვიათად იგზავნება სოფლის სავაჭრო ქსელში, შეფერხებებზე ზოგიერთი სახეობის საქონლის, განსაკუთრებით საშენი მასალის ვაჭრობაში.

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. რუჩკინი შეეხო სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს.

ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ მერვოლურმა ე. ი. ტვერდოხლებმა ილაპარაკა საკოლმეურნეო სოფლის საარსებო საჭიროებებზე, იმაზე, რომ იზრდება მოთხოვნა საქონელზე, რომლის შეძენა ყოველთვის როდი ხერხდება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პ. ი. კოლესნიკოვმა (კრასნოდარის მხარე), ე. ჩ. ჩერტსნოვმა (ყირგიზეთი), ვ. ს. კოროტნიანმა (მოლდავეთის სსრ), ი. მ. სკაჩკოვმა (მოსკოვი), კ. ს. მაცევიჩუსმა (ლიტვის სსრ კოლმეურნეობა „კაროლინ პოჟელსი“), პ. ე. პაშკევიჩმა (ბელორუსიის სსრ ბრასლავის რაიონი), ნ. ფ. ივაშჩენკომ (ხმელნიცკის ოლქი), მ. ვ. ლეგშინმა (სტალინგრადის ოლქი), მ. საიდოვამ (უზბეკეთის სსრ ნამანგანის ოლქი).

1954-1957 წლებში სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის შესახებ მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 30 კაცმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარემ ა. პ. კლიმოვმა. მან უპასუხა დელეგატების მრავალ კითხვაზე, რომლებიც შეეხებოდა სოფლად გასასყიდი საბალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას, სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის განმტკიცებას მრეწველობასთან.

— კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც გაკეთებულ იქნა ყრილობაზე, ეჭვი არ არის, გაითვალისწინებს „ცენტროსოიუზის“ გამგეობის ახალი შემადგენლობა, — თქვა ამხ. კლიმოვმა.

შემდეგ ყრილობა შეუდგა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის, წევრების და საბჭოს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა და წევრთა კანდიდატურების დასახელებას. (საკდესი).

საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობა

დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები, საქართველოს მხატვართა ამოცანები იმ მოთხოვნათა მიხედვით, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე — შექმნან ნაწარმოებნი, რომლებიც აგვაღელვებენ ოავისი იდეური სიღრმით, ცხოვრებისეული სიმართლით, შესრულების მაღალი ოსტატობით.

მოსმენილ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ვ. კეშელავამ, დ. თავაძემ, კ. სანაძემ, კ. კუკულაძემ, ბ. სანაკოევმა, მხატვრებმა დ. ციციშვილმა, ნ. მალაზონიამ, ვ. ზარიძემ, ე. კალანდაძემ, შ. ხოლუაშვილმა, ჰ. აუკულაძემ, მოქანდაკეებმა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ნ. კანდელაკმა, რ. შეროზიამ, მ. თალაკვაძემ.

ყრილობაზე გამოვიდა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ს. გერასიმოვი.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა სახელით მიესალმა მაიორი დ. მოშნიკოვი. საქართველოს მწერალთა კავშირისაგან ყრილობის მონაწილეებს მიესალმა ბ. ჟღენტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირისაგან — მ. ლორთქიფანიძე.

ყრილობას მიესალმნენ ესტონეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვ. იმესტე, სომხეთის მხატვართა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. არუტჩიანი, სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის დირექტორი ს. ბელკო, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ ხალიკოვი, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ე. ეინმანი.

მოისმინეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის კ. ჭანკვეტაძის მოხსენება.

ყრილობამ საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობა.

საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

* * *

დაწვრილებითი ანგარიში ყრილობის მუშაობის შესახებ გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).

თბილისის 1500 წლისთავისათვის

ყველაფერს ავტომატი აკეთებს

ავჭალა, განსაკუთრებით ქვემო ავჭალა თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი გახდა. ელექტრომავალმშენებელი ქარხნის გიგანტური კორპუსები, კონიაკის, შამპანურის, ფოლად - თუჯსამსხმელო ქარხნების და ჩაის საწონი ფაბრიკის შენობები ამშვენებენ თბილისის ამ გარეუბნის ბაღნარიან ლანდშაფტს. ჩაის საწონი ფაბრიკის თეთრი უზარმაზარი შენობა, ჩადგმული ხეივნებიან ბაღში, სულაც არა ჰგავს ინდუსტრიულ საწარმოს, უცხო კაცი იფიქრებს — სანატორიუმიაო. ფაბრიკის ვრცელ საამქროებში კი პატარა, მეტად გონივრულად მოწყობილი ჩაის საწონი და შემფუთავი ავტომატები ყრუ, რიტმული ხმაურით მუშაობენ, მორჩილად ასრულებენ ჩაის მწონავი მუშების ნებას.

ამ ფაბრიკაში ყველა ძირითად შრომითს პროცესს ავტომატები და მექანიზმები ასრულებენ— განხორციელებულია თითქმის ყველა საწარმოო ოპერაციის სრული ავტომატიზაცია, მხოლოდ რამდენიმე ოპერაცია დარჩა ჩაის წონის, შეფუთვისა და დაფასების ტექნოლოგიურ ციკლში ისეთი, რომელთა შესრულება მუშებს ისევ თვითონ უხდებათ. ამჟამად ხორციელდება ამ ოპერაციების მექანიზაციაც. მაგალითად, ბოლო დრომდე ჩაის დაჭრა სპეციალურ მანქანაზე ხდებოდა, დაჭრილი ჩაით სავსე ყუთები კი შემდეგ მუშებს ხელით მიჰქონდათ საწონ მაგიდასთან. ეს სამუშაო მეტად შრომატევადი იყო, დიდ დროს მოითხოვდა. ამ ოპერაციის მექანიზაციისათვის დაამონტაჟეს ჩაის ყუთების ამწევი მექანიზმები და საჭრელ-სარეპარაციო კომბინირებული მანქანები. ამის შედეგად ფაბრიკა ყოველწლიურად 30.000 მანეთ ეკონომიას იღებს.

ცნობილია, რომ მაისის მეორე ნახევრიდან ჩაის მრეწველობაში იწყება წლის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — ახალი მოსავლის ჩაის ფოთლის გადამუშავება. საწარმოს კოლექტივმა წარმატებით დაიწყო წლევანდელი სეზონი. ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია სამ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, ხოლო შრომის ნაყოფიერება 4,4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

ფაბრიკის კოლექტივი ენთუზიაზმით ჩაება საყვარელი დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა: მომდინარე წლის გეგმა შეასრულოს 23 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 120 ტონა ჩაი, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს სამი პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გასწიოს 300.000 მანეთის ეკონომია.

თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზ. ივანიშვილის, მ. ბიაშვილის, ვ. მასლენიკოვას და მ. ჟაბატინსკაიას ბრიგადები, რომლებიც დავალებებს სისტემატურად 110-112 პროცენტით ასრულებენ.

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი ხალისით განაგრძობს შრომას, რათა დედაქალაქის საიუბილეო თარიღისათვის საიუბილეოდ გამოშვებული ჩაით გაახაროს საბჭოთა მომხმარებლები.

მ. თვარაძე.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲣᲜᲣᲥᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲙᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე იდეები საბჭოთა ხალხს გზას უშუქებს კომუნიზმისაკენ. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელთა ფართო მასების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, მათი იდეურ-პოლიტიკური შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის, თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეოლოგიით, მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით შეიარაღებული, კომუნიზმის აქტიური მშენებლთა მრავალრიცხოვანი კადრების აღზრდა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა. რაც უფრო უკეთ და ფართოდ გაჩაღდება პროპაგანდისტული და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მშრომელებში, მით უფრო დიდი იქნება ჩვენი ქვეყნის წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა „განუწყვეტლივ აგვემაღლებინა მასებში პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის დონე. სკკპ XX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა. აბორიგენებს რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო ახლებურად გარდაექმნა პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მჭიდროდ დაეკავშირებინა იგი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან და ამ საფუძველზე წარმატებით გადაეწყვიტა კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები.

განუხრელად ვითარდება და აღმავლობის გზით მიდის ქუთაისის მრეწველობა. ქალაქის მრეწველობამ, რომელსაც თავისი საწარმოო სიმძლავრით თბილისის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა 1957 წლის სახელმწიფო დავალება. სამშობლომ გეგმის გადამეტებით მიიღო მრავალი ათეული ათასი მანეთის ავტომანქანები, საშტატო ვაგონეტები, ლოკომონი, შუშის ტარა, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი და შეკერილი ტანსაცმელი, მაღალხარისხოვანი კოსმეტიკური და სხვა ნაწარმი.

წელს ქუთაისის საწარმოებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს მუშაობა. ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 27 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, აბრეშუმკომბინატში, მანქანათამშენებელო და ლიტოპონის ქარხნებში, მაუდისა და სამკერვალო ფაბრიკებში, საკონსერვო ქარხანაში და ქალაქის სხვა საწარმოებში, ახალშენებლობებსა და რკინიგზის ტრანსპორტზე დიდი მუშაობა წარმოებს შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისებისათვის, ნოვატორთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აზრი დაუცხრომლად მუშაობს ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად, გაუმჯობესებული მანქანებისა და პროდუქციის ახალ სახეობათა შესაქმნელად.

ეს წარმატებანი ქალაქის მრეწველობის მუშაობაში თავისით როდი მოდის. ისინი ქუთაისის შრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განუხრელი ზრდის შედეგს, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ნაყოფს წარმოადგენენ. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ „კომუნისტის“ მკითხველებს მოკლედ მოვუთხრობთ ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებაზე პროპაგანდისტული მუშაობის დარგში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ

პარტიის XX ყრილობამ ამოცანად დაგვისახა უზრუნველვყოთ შესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმისა, როგორც ერთი მთლიანი მოძღვრებისა, რომელიც მოიცავს: დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტიკურ ეკონომიას, სოციალისტური რევოლუციის თეორიასა და ტაქტიკას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ისტორიასა და პრაქტიკას. ხელმძღვანელობდნენ რა ყრილობის ამ მითითებებით, ქალაქ ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა განვლილ სასწავლო წელს შექმნეს პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების ფართო ქსელი, რომლებშიც კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები გულდასმით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას და კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს.

პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტული და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მთავარ შინაარსს წარმოადგენდა სკკპ XX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების მიერ მიღებული დოკუმენტების ახსნა-განმარტება.

ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მასალების შესწავლამ ხელი შეუწყო პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის იდეური დონისა და შინაარსის ამაღლებას, გაძლიერა პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების მსმენელთა აქტივობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტთა კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას, მათს მეთოდურ დახელოვნებას. დამახასიათებელია, რომ 383 პროპაგანდისტიდან უმაღლესი განათლებით არის 366. პროპაგანდისტთა დიდ უმრავლესობას — 354 კაცს ორ წელზე და მეტი ხნის მუშაობის სტაჟი აქვს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები გაიარა 56 კაცმა. წრეების, პოლიტსკოლებისა და სემინარების პროპაგანდისტებად, აგრეთვე ლექტორ-მომხსენებლებად პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო ფართოდ იზიდავენ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს.

უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. ამ მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა ორწლიანი ეკონომიური სკოლა. მას პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. კობახიძე ხელმძღვანელობს. წელს მოხდა სკოლის მსმენელთა პირველი გამოშვება.

განუწყვეტლივ იზრდება კადრების მისწრაფება ეკონომიური ცოდნის შეძენისადმი. თუ გასულ სასწავლო წელს ქალაქში კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 18 სემინარი და წრე იყო, წელს მათი რაოდენობა 27-მდე გაიზარდა. ამ წრეებისა და სემინარების პროპაგანდისტებად ძირითადად შერჩეული არიან საწარმოთა ხელმძღვანელები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მათ შორის შუშის ტარის ქარხნის დირექტორი ე. სანაძე, სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი კ. აფრიდონიძე, საკონსერვო ქარხნის დირექტორი ბ. მაჭარაძე, საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი კ. საფონოვი, ამავე ქარხნის საგვიმო განყოფილების გამგე გ. გაბიძაშვილი და სხვები.

კადრების ეკონომიურ სწავლებას სერიოზულ ყურადღებას აქცევს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტი. გასულ სასწავლო წელს ქარხანაში წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი 2 სემინარი იყო, მიმდინარე სასწავლო წელს კი უკვე ხუთი ასეთი სემინარი მუშაობდა. მათში 130-ზე მეტმა კაცმა მიიღო ეკონომიური ცოდნა. სემინარების მუშაობის მაღალი დონე, მეცადინეობაზე კონკრეტული ეკონომიკის საკითხების გულდასმით განხილვა და შესწავლა დიდად უწყობს ხელს მსმენელებს ოპერატიულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ საამქროებს, განყოფილებებსა და უბნებს, სწორად გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

მაგალითად, წელს წარმოების ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში ნაყოფიერად მეცადინეობდა ქარხნის № 2 სამსხმელო საამქროს უფროსი ზ. მარდალეიშვილი. ეკონომიური ცოდნის ამაღლებამ მას საშუალება მისცა უნარიანად წარემართა საამქროს მუშაობა. წინათ № 2 სამსხმელო საამქრო ყოველთვის ჩამორჩენილთა რიგებში იყო, წელს კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა. 1958 წლის ხუთ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 26,4 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 27,8 პროცენტით, ამასთან დიდად შემცირდა წუნი.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისათვის, ეხმარება მათ სემინარებში, წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობის მაღალ იდეურ დონეზე მოწყობაში. ამ მიზნით საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლთან შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარები. სემინარების მეცადინეობაზე პროპაგანდისტთა წინაშე გამოდიან პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები ე. ტაკიძე, ს. ფხაკაძე, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები და წარმოების ნოვატორები. ბევრ შემთხვევაში სემინარების მეცადინეობა უშუალოდ საწარმოში ეწყობა.

პროპაგანდისტული მუშაობისადმი კონტროლისა და დახმარების მნიშვნელოვანი ფორმაა მეცადინეობაზე პროპაგანდისტთა ურთიერთდასწრება, ხოლო შემდეგ ამ მეცადინეობის საფუძვლიანი განხილვა. მიმდინარე სასწავლო წელს პროპაგანდისტთა ასეთი ურთიერთდასწრება მეცადინეობაზე სულ ცოტა ათჯერ მაინც მოეწყო.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლთან შექმნილია „პროპაგანდისტის ოთახი“. აქ გამოფენილია საჭირო ლიტერატურა პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების მორიგი მეცადინეობისათვის. მოწყობილია სტენდები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ბურჟუაზიული ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ისტორიის ფალსიფიკაციის ფარისევლურ ხერხებს.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ქუთაისის საწარმოებში და მშენებლობებზე ქართველებთან ერთად მომძე ეროვნებათა ბევრი წარმომადგენელი შრომობს. ქალაქის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამ მიზნით სისტემატურად იკითხება ლექციები და მოხსენებები, ეწყობა საუბრები პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის საკითხებზე.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებზე მასების აღზრდის ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს „მეგობრობის დღე“ და „მეგობრობის საღამო“. ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს ლიტოპონის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ქუთაისში „მეგობრობის საღამოს“ ინიციატორად ითვლება. საწარმოსთან შექმნილია მომღერალთა გუნდი „მეგობრობა“, რომელშიც მრავალი ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობენ. გუნდი საინტერესოდ ასრულებს არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და სხვა ეროვნებათა სიმღერებს.

მეგობრობის საღამოები წარმატებით ეწყობა აგრეთვე მანქანათმშენებელ ქარხანაში, აბრეშუმკომბინატში, საკონსერვო ქარხანაში, მაუდის ფაბრიკაში და ქალაქის სხვა საწარმოებში. ამას წინათ საავტომობილო ქარხანაში მოწყობილ „მეგობრობის საღამოს“ 30-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით სულ უფრო ფართოდ ჩაღდება და ვითარდება ქუთაისის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთელი რიგი ქალაქების საწარმოთა კოლექტივებთან. ამჟამად ქუთაისელები წარმატებით ეჯიბრებიან ლენინგრადის, ლენინაკანის, კიროვაბადის, კიევის და სხვა ქალაქების საწარმოთა მშრომელებს. ძმური მეგობრობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ურალის ი. ბ. სტალინის სახელობისა და ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნების კოლექტივები.

ეს შესანიშნავი შეჯიბრება და ლენინური იდეებით შთაგონებული მეგობრობა ქუთაისის საწარმოებს ეხმარება სწრაფად დანერგონ მუშაობაში ყოველივე ახალი, მოწინავე და პროგრესული, წარმატებით შეასრულონ სახელმწიფო დავალებები.

საყურადღებოა ქალაქის მე-19 საშუალო სკოლის პიონერთა და მოსწავლეთა ინიციატივა. მათ მეგობრული კავშირი დაამყარეს ყველა მომძე რესპუბლიკის დედაქალაქების მე-19 საშუალო სკოლებთან. მოსკოვის, კიევის, მინსკის, რიგისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების პიონერებისა და მოსწავლეებისაგან ქუთაისში მიღებულია პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული წერილები.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

პროპაგანდისტული მუშაობა, რომელსაც ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან, მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიის საქალაქო კომიტეტი და პარტიული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით აძლიერებენ ქიმიური ცოდნის პროპაგანდას მასებში. ქიმიური მეცნიერების საკითხებზე საწარმოებსა და ქალაქის მოსახლეობაში ეწყობა კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები, აგიტატორთა საუბრები, იმართება თეორიული კონფერენციები. ამავე მიზნით ფართოდ არის გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალება — ძირეული პრესა, პლაკატები და ლოზუნგები, დიაგრამები და სტენდები. საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ლიტოპონისა და სამრეწველო კომბინატის ქიმიურ ქარხნებში შეისწავლა ქიმიური ცოდნის პროპაგანდის დაყენება და განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი ამ საქმის გაუმჯობესებისათვის.

ლიტოპონის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალებას ამ დღეებში იმისათვის იყენებს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმოს მელიტოპონეები მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. საწარმოში მოწყობილია სტენდები, რომლებიც ასახავენ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამას და ამ პროგრამის განხორციელებისათვის ქარხნის კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებს.

თვალსაჩინო ადგილებზე გაკრულია პლაკატები და მოწოდებები. გამოშვებულია კედლის გაზეთის „ქარხნის სიმართლის“ სპეციალური ნომერი. ლექტორმა, ქარხნის ლაბორატორიის უფროსმა ვ. მუმლაძემ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე „ორგანული ქიმია და ტექნიკური პროგრესი“.

ნაყოფიერ და მრავალმხრივ ნუშაობას ეწევიან ქუთაისის პარტიული ორგანიზაციები წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდის დარგში. ქუთაისში ასობით ნოვატორია, რომლებიც ოვიანთი შემოქმედებითი აზრით წინ ეწევიან ტექნიკას, აჩქარებენ პროდუქციის გამოშვებას და აუმჯობესებენ მის ხარისხს. მოწინავეთა გამოცდილება ფართოდ ინერგება წარმოებაში. ამ მიზნით პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებას.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს ბევრ საწარმოში გამოდის ნოვატორებისადმი მიძღვნილი ბიულეტენები და ფურცლები. საავტომობილო ქარხანაში გამოშვებულია ოთხი ბიულეტენი, რომლებშიც აწერილია გამოჩენილი ნოვატორების — ამწყობის ი. ხაზარაძის, ხარატის ა. აგაპოვის, ამწყობის ტ. იჩქიტიძის და ხარატის ბ. კეზეოძის გამოცდილება და შრომითი მაჩვენებლები. ამჟამად გამოსაცემად მზადდება კიდევ ორი ბიულეტენი, რომლებიც მიძღვნილია მოწინავე მეყალიბეების ი. ჩოჩუასა და შ. კილაძის გამოცდილებისადმი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ Ა�გᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ

უკანასკნელ წლებში ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ეს მუშაობა ისეა მოწყობილი, რომ პოლიტიკური აგიტაცია მოიცავს ყველა მშრომელს, ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენას. ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში მუშაობს 2.289 აგიტატორი, რომლებიც გაერთიანებული არიან 154 აგიტკოლექტივში. ხოლო მოსახლეობაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ ყოფილი საარჩევნო უბნებთან შექმნილი აგიტპუნქტები, რომლებსაც არჩევნების შემდეგ მუშაობა არ შეუწყვეტიათ. ამჟამად ქალაქში არის 46 მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი, რომელთა გარშემო შეკრებილია 1.380 აგიტატორი.

აგიტატორთა ეს დიდი არმია მრავალმხრივ და საინტერესო მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ ქუთაისის მშრომელები დარაზმოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების ღირსეულად განხორციელებისათვის.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ აგიტატორთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, მათს დახელოვნებას. პერიოდულად ეწყობა აგიტატორთა საქალაქო კრებები და თათბირები, რომლებზეც ცხოვრების მიერ დაყენებული უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ მოხსენებებით გამოდიან პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები.

აგიტატორებისადმი დახმარების მნიშვნელოვანი ფორმაა მათთვის კურსებისა და სკოლების მოწყობა. გასულ წელს აგიტატორთა სკოლები მოეწყო საავტომობილო ქარხნის, რკინიგზის კვანძის, აბრეშუმკომბინატის, ლიტოპონის ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის, პურკომბინატისა და საკონსერვო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებთან. ამჟამად ასეთი სკოლები მუშაობენ მაუდის ფაბრიკაში, ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების და სამედიცინო დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებთან.

საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლიტიკური აგიტაციის იდეურ შინაარსს. საწარმოს კოლექტივის წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით გამოდიან როგორც ქალაქის, ისე ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები.

პარტიული კომიტეტის ინიციატივით თვეში ორჯერ ეწყობა „ნოვატორის დღე“. ქარხნის ნოვატორებთან, რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან ერთად ამ დღეს იკრიბებიან ინჟინერ-ტექნიკოსები და წარმოების მოწინავე ადამიანები. ისინი გამოდიან მოხსენებებით როგორც თავიანთი მუშაობის პრაქტიკის შესახებ, ისე ტექნიკურ სიახლეთა, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევათა შესახებ. მოხსენებათა შემდეგ წარმოებს აზრთა გაზიარება.

ლიტოპონის ქარხანაში წლინახევრის წინათ შემოიღეს „ინჟინერ-ტექნიკოსის დღე“, რომელიც ყოველი თვის 24-25 რიცხვში იმართება. ამ დღეს ქარხნის მუშების წინაშე მოხსენებებით გამოდიან ინჟინერ-ტექნიკოსები წინასწარ გათვალისწინებულ თემებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ დღის თემატიკაში ქიმიური ცოდნის პროპაგანდას, ქარხნის კოლექტივის ამოცანებს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებით.

დიდი გამოცდილება აქვთ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის დარგში. მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრს წარმოადგენენ აგიტპუნქტები. როგორც წესი, არჩევნების შემდეგ აგიტპუნქტები თავიანთ საქმიანობას როდი წყვეტენ. პარტიის საქალაქო კომიტეტი განუწყვეტლივ ზრუნავს იმისათვის, რომ როგორც საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა ტ. იჩქიტიძის და ხარატის ბ. კეზეოძის გამოცდილება და შრომითი მაჩვენებლები. ამჟამად გამოსაცემად მზადდება კიდევ ორი ბიულეტენი, რომლებიც მიძღვნილია მოწინავე მეყალიბეების ი. ჩოჩუასა და შ. კილაძის გამოცდილებისადმი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘ.

ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პროპაგანდისტთა ერთი ჯგუფი.
ფოტო ბ. მალლაფერიძისა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კოლმეურნეობაში

აკურა თელავის რაიონში ერთ-ერთი მოზრდილი და კეთილმოწყობილი სოფელია. მოასფალტებული ცენტრალური ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია კოლმეურნეთა ქვიტკირის ორსართულიანი სახლები.

ელექტრობა და რადიო დიდი ხანია დამკვიდრდა სოფელში. ხოლო უკანასკნელ წლებში ბევრი კოლმეურნე დროსა და მანძილს ტელეფონის დახმარებით ზოგავს. ამ საქმეს 70-ნომრიანი საკოლმეურნეო სატელეფონო სადგური ემსახურება. სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე", რომელშიც 30 წლის წინათ ამ სოფლის უღარიბესი გლეხები გაერთიანდნენ, ახლა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობის შემოსავალი. ეს საშუალებას აძლევს მას შეიძინოს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მანქანები, არამედ აშენოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

შარშან კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა ააშენა 468-ადგილიანი კლუბის შენობა. კლუბს აქვს კარგი ფოიე და საწრეო მუშაობის ოთახები. ახლა აკურელ კოლმეურნეებს ყოველდღე შეუძლიათ კინოფილმების ნახვა. გამოჩნდნენ კოლმეურნე მომღერლები, მოცეკვავეები, შეიქმნა თვითმოქმედების, ჭრა-კერვის შემსწავლელი წრეები. სულ კლუბთან შექმნილია 10 წრე, რომლებშიც სამასამდე კოლმეურნეა გაერთიანებული.

კოლმეურნეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს დრამატული წრე, რომელსაც ფერშალი გ. გომურაშვილი ხელმძღვანელობს. სპექტაკლების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ ბრიგადირები გ. მჭედლიშვილი და ვ. ქეგხიშვილი. ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე მომღერალთა წრე ადგილობრივი ლოტბარის ა. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით.

მრავალფეროვან საქმიანობას ეწევა ლიტერატურული წრე პედაგოგ მარიამ მოდებაძის ხელმძღვანელობით. მარტო უკანასკნელ ერთ წელიწადში წრის წევრებმა მოამზადეს და მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან წაიკითხეს 20-მდე ლექცია.

კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის ძალაა მისი მაღალიდეურობა, კონკრეტულობა და მიზანდასახულობა. სამთვიან სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ლექციები და მოხსენებები როგორც საწარმოო, ისე პროპაგანდისტულ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ურთიერთობის საკითხებზე. მშრომელთა წინაშე სისტემატურად გამოდიან მოხსენებებით კოლმეურნეობის აგრონომები, ზოოვეტსპეციალისტები, ექიმები, პედაგოგები.

ლექციები იკითხება არა მარტო კულტურის სახლის დარბაზში, არამედ საკოლმეურნეო მინდვრებში, ზვრებში ბაღ-ბოსტნებში ფერმების მუშაკებისათვის.

კულტურის სახლი დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საქმეში. ამ მიზნით, გარდა ლექციებისა, ეწყობა კოლმეურნეთა შეხვედრები საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებთან, სისტემატურად იმართება საუბრები და გაზეთის ხმამაღლა კითხვა მოწინავეთა გამოცდილებაზე, ეწყობა ფოტოგამოფენები, მზადდება სტენდები და ალბომები, რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთები.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა წიგნი. კულტურის სახლის ბიბლიოთეკას რამდენიმე ათასი მანეთის სხვადასხვა ლიტერატურა აქვს და ასობით მუდმივი მკითხველი ჰყავს. ბიბლიოთეკას აქვს ეგრეთწოდებული მოძრავი ფილიალები. ბიბლიოთეკის აქტივისტები ე. ბლუიშვილი, მ. რაისიანცი, თ. სირაძე სისტემატურად ურჩევენ მკითხველებს საპირო ლიტერატურას, მიაქვთ წიგნები მკითხველებთან ფერმებში ან საცხოვრებელ ადგილებზე.

ბიბლიოთეკის გამგე ე. დალაქიშვილი პერიოდულად აწყობს მკითხველთა კონფერენციებს, ლიტერატურულ და თემატიკურ საღამოებს.

აკურის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იბრძვის მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გ. მირიმანიშვილი,

პარტიის თელავის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში 4 ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია მოსავლელად მიჩენილია კომკავშირულ რგოლზე. ახალგაზრდა მეთამბაქოეებმა იკისრეს ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 18 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა. სურათზე: კომკავშირელი ვ. ტაბატაძე მუშაობს თამბაქოს შეტეხვაზე.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა.
(საქდისის ფოტოქრონიკა).

უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეთიდან უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება საავტომობილო ტრანსპორტით. ქალაქის ქუჩებზე მიმოდიან კომფორტაბელური ავტობუსები და „პობედის" მარკის ტაქსები, ამ დღეებში ავტოსატრანსპორტო კანტორამ დამატებით მიიღო ორი ახალი ავტობუსი და 5 მსუბუქი ტაქსი.

ამჟამად შახტებში და მახლობელ რაიონებში მგზავრთა გადაყვანის საქმეს ემსახურება 17 ავტობუსი და „პობედის" მარკის 10 ტაქსი.

წულუკიძელები სოფელ რუხმი

ზუგდიდი. (საკ. კორ). ამას წინათ რუხელ კოლმეურნეებს სტუმრად ეწვივნენ წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავენი. ისინი დაწვრილებით გაეცნენ მეცხოველეობის ფერმის საქმიანობას, რომელიც ყურადღებას იმსახურებს შრომის კარგი ორგანიზაციითა და მაღალპროდუქტიულობით.

სტუმრებს თავისი გამოცდილება გაუზიარა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ მოწინავე მეცხოველემ მარგარიტა თოდუამ.

რუმინელ და ბათუმელ მენავთობეთა მეგობრობა

გასული წლის დეკემბერში ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობ-გადამუშავებელ ქარხანაში სტუმრად იყვნენ რუმინეთის ქალაქების პლოეშტისა და კიმპინის მენავთობეები. იმ ხანებში რუმინეთში პირველად აღინიშნა მენავთობეთა დღე და საუკეთესო მენავთობეების დაჯილდოვეს შავი ზღვის სანაპირო ტურისტული საგზურებით ოდესასა და ბათუმში შევლით.

ბათუმელი მენავთობეები გულთბილად შეხვდნენ თავიანთ თანამოსაქმეებს.

ამას წინათ ბათუმელმა მენავთობეებმა რუმინელი მეგობრებისაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღეს:

„ძვირფასო მეგობრებო! ქალაქ პლოეშტის № 2 ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშაკთა კოლექტივი მოხარულია გაეწყოთ, რომ ჩვენი ქარხანა მოწინავე საწარმოა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ამხანაგები, რომლებიც თქვენთან ბათუმში იყვნენ, მოგვიყვნენ, თუ როგორი სიყვარულითა და გულთბილად მიიღეთ ისინი. მათ გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილება თქვენი უმშვენიერესი ქალაქის შესახებ. ბევრ ჩვენგანს სურს ინახულოს ბათუმი, პირადად გაეცნოს საბჭოთა მეგობრებს.

თქვენი მხრივ არანაკლებ საინტერესოს ნახავდით ჩვენთანაც, მობრძანდით ჩვენთან, პლოეშტში. დიდი მოხარული ვიქნებით მივიღოთ ძვირფასი სტუმრები საბჭოთა კავშირიდან".

მინერალური წყლები

საქართველო ძველთაგანვე განთქმულია მინერალური წყლებით. ზოგიერთის მსგავსი მსოფლიოშიც კი არ არის. მაგალითად, ისეთი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის მინერალური წყალი, როგორიც არის „ბორჯომი", მთელ მსოფლიოში არსად არ მოიპოვება. მხოლოდ ვიშის განთქმული წყაროები საფრანგეთში ძალიან წააგავს ბორჯომისას, მაგრამ ბორჯომის წყლის შემადგენლობა ვიშის წყაროს წყალთან შედარებით გაცილებით უკეთესია. იგი გამჭვირვალეა და, გაზირებული, ძალიან სასიამოვნო სასმელია. მეტად მაღალია მისი სამკურნალო თვისებები. მაღალხარისხოვანია და პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე მინერალური წყლები „საირმე", „უწერა", „ძაუ", „ზვარე", „ლუგელა", „სკური", „ნაბეღლავი" და სხვ.

ქართული მინერალური წყლები დიდი რაოდენობით იგზავნება მთელ ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე უცხოეთში. წელს საქართველოს მინერალური წყლები გაიგზავნა პოლონეთში, ვიეტნამში, ირანში, ბელგიაში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში და სხვ.

ბევრი ღონისძიება განხორციელდა წელს მინერალური წყლების ჩამოსხმის გასაძლიერებლად. ბორჯომის მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანაში დაიდგა ახალი მექანიზებული ჩამოსასხმელი ხაზები, შუშის ქარხნიდან ჩამოსასხმელ ქარხანამდე გაყვანილია ტრანსპორტიორი, რომლითაც ავტომატურად ხდება ბოთლების მიწოდება. განზრახულია საირმეში დაიდგას ახალი მექანიზებული ჩამოსასხმელი ხაზი, რომელიც ლიტრიანების ნაცვლად წყალს ჩამოასხამს ნახევარლიტრიან ბოთლებში.

ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე

„კომუნისტის" რაიონული კორესპონდენტი

წიწვიანი და შერეული ტყეებით დაფარული მთები და გორაკები, მოჩუხჩუხე სასმელი და მინერალური საკურნალო წყლები, გრილი, სუფთა ჰაერი და სხვა ბუნებრივი სამდიდრე, რითაც ბორჯომის ჯგუფის კურორტებია დაჯილდოებული, საუკეთესო პირობებს ქმნიან მოგზაურეთა დასვენებისა და გამოჯანსაღებისათვის.

ამჟამად ბორჯომის რაიონში 12 სანატორიუმი, 2 დასასვენებელი სახლი და ბევრი სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება მუშაობს. ყოველწლიურად იზრდება დამსვენებელთა რიცხვი. ამას გარდა ზაფხულის სიცხეებში აქ საგზაურაოდ ჩამოდიან მრავალი პიონერთა ბანაკი, საბავშვო ბაღები და ბაგები, სპორტის მოყვარულები.

უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ კარგი გაკეთდა წლევანდელი სეზონისათვის. მზადების პერიოდში, მაღალხარისხოვანი კაპიტალური რემონტის შემდეგ, მიმდინარე საკურორტო სეზონი ორგანიზებულად დაიწყეს სანატორიუმებმა „ფირუზამ", „მზიურმა" და პლატოს დასასვენებელმა სახლმა. კეჩხობის დასასვენებელ სახლში, წაღვერისა და ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმებში საკურორტო სეზონი 1 ივნისს გაიხსნა.

საკურორტო სამმართველოს პოლიკლინიკაში უკვე დადგმულია რენტგენოაპარატი. ფიზიოსამკურნალოში გახსნილია სუბაკვალური აბაზანების კაბინეტები, შეძენილია წყალქვეშა მასაჟის აპარატი, ეწყობა ახალი სატალახო განყოფილება.

სეზონს მომზადებული შეხვდა სასტუმრო „ბორჯომი". სასტუმროს დაბლა სართულში ეწყობა კეგლის ბოლიკი, ხოლო პანსიონატისათვის — დიეტური სასადილო. სანატორიუმ „მთის ხეობაში" გაკეთდა სოლარიუმი. იქვე, სანატორიუმის ტერიტორიაზე, გეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩნდა გოგირდოვანი და მინერალური ნახშირმჟავა წყალი. გოგირდოვანი წყალი უკვე შეუკანონია სანატორიუმში და იყენებენ სამკურნალოდ.

წელს ბორჯომის კურორტთა სამმართველო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამკურნალო ობიექტების, პარკების კეთილმოწყობასა და კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯავს თხუთ მილიონ მანეთზე მეტს. ოქტომბრის რევოლუციის სახელობის პარკში აშენდა ახალი კინოთეატრი, რომელიც 700 მაყურებელს იტევს. დამტკიცებულია სანაგირო გზის მშენებლობის პროექტი. ეს გზა ორკონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკს დაუკავშირებს პლატოს დასასვენებელ სახლთან.

კურორტთა ქალაქის — ბორჯომის კეთილმოწყობაზე წელს ბორჯომის საქალაქო საბჭომ უნდა დახარჯოს ორი მილიონი მანეთი. მდინარე მტკვარზე უკვე დამთავრებულია გაბმული ხიდის მშენებლობა. ეს ხიდი ერთმანეთთან აკავშირებს ლუქსემბურგისა და კიროვის ქუჩებს, ცენტრალურ მოედანზე დამთავრდა ღვარსაშვების მშენებლობა. დასასრულს უახლოვდება ჯაფარიძის ქუჩის კეთილმოწყობა და მოასფალტება, წარმოებს ჩელუსკინელების ქუჩის გაფართოება. კიროვის ქუჩაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 100 გრძივ მეტრზე ამოყვანილ იქნა საყრდენი კედელი, რითაც ეს ქუჩა გაფართოვდა ექვსი მეტრით; ქუჩაზე დადგმულია ლამპიონები. მოედანზე მალე დაიდგმება მგზავრთა მოსაცდელი პავილიონი.

ზაფხულობით ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე ბევრი უსაგზაურო დამსვენებელი ჩამოდის. მათი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს ბორჯომის რაიკოოპერატივი. კურორტ ახალდაბაში დაამთავრეს ახალი კაპიტალური სასადილოს მშენებლობა, რაზეც 300 ათასი მანეთი დაიხარჯა. საკურორტო სეზონთან დაკავშირებით კურორტებში წაღვერში, ბაკურიანსა და ახალდაბაში გაიხსნება სასურსაფო პროდუქტების საკომისიო მაღაზიები, ხორცის საკვამური წერტილი, გამაგრილებელი წყლების კიოსკები და სხვ.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, ბორჯომის კურორტებზე არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

უსაგზაურო დამსვენებლებს ისეთ აგარაკებზე, როგორიც ახალდაბა, ტბა, ცემი, სადგერი, ლიკანი, ციხისჯვარი და ლებანია, სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომსახურებას უწევს ბორჯომის რაიკოოპერატივი. მაგრამ რაიკოოპერატივს ამ პუნქტებისათვის ხორცის, ძეხვეულის, რძის პროდუქტების, შაქრის, ბურღულისა და სხვა საჭირო ფონდები არ მოეპოვება. ეს აუცილებლად უნდა გითვალისწინოს ცეკავშირის გამგეობამ და უზრუნველყოს დამატებითი ფონდების მიცემა. ნაკლოვანებები კურორტ ბორჯომის კეთილმოწყობის საქმეშიც არის, ხშირია მთის კალთებიდან ქვების ჩამონგრევის შემთხვევები. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ 250 ათასი მანეთი გამოჰყო, მაგრამ ბორჯომის საქალაქო საბჭო ამ მხრივ ვერაფერს ვერ აკეთებს მასალების (ცემენტი, რელსები) უქონლობის გამო.

შესაკეთებელია წაღვერის, დიდი ცემის ელექტროგადამცემი ქსელი. ეს საკითხი დროულად დაისვა ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ სასურველი პასუხი ჯერჯერობით მიღებული არ არის.

წინათ პრესაში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ კეთილმოწყობილია პლატოს დასასვენებელ სახლში მისასვლელი საავტომობილო გზა. როგორც იქნა, კურორტთა სამმართველოში შეადგინეს გზის კეთილმოწყობის პროექტი, მაგრამ საქმეს არაფინ არა ჰკიდებს ხელს.

ამას წინათ ბორჯომის კურორტთა სამმართველოს ზემდგომი ორგანოების წინაშე დაადგინა საკითხი გადაეცათ მისთვის ყოფილი მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის შენობა, რომელიც ახლოს არის ორჯონიკიძის სახელობის პარკთან და გამოსადეგია საკურორტო დარბაზის მოსაწყობად. თუ ეს საკითხი გადაწყდა, შენობა უთუოდ კარგი შესაძენი იქნება მოაგარაკეთათვის.

სერიოზული ყურადღების ღირსია ბორჯომ-ბაღის საკოლმეურნეო ბაზარი. აქ სივიწროვეა, გაძნელებულია სისუფთავის დაცვა. ბაზრის გაფართოება შეა საძლებელია სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თუ ამით დაინტერესდებიან რაიონული და საქალაქო საბჭოები.

ბორჯომის ავტოსატრანსპორტო კანტორის განკარგულებაში არსებული ავტობუსები მეტად გაცვეთილია და დიდი შეფერხებებით მუშაობს. ტრანსპორტი რაოდენობის მხრივაც არ არის საკმარისი. ყოველივე ამის შედეგად ქალაქში მწვავედ იგრძნობა შეფერხებანი ტურისტების, ექსკურსანტების გადაყვანასა და მგზავრთა მომსახურებაში. საჭიროა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო დაპირებიდან პრაქტიკულ დახმარებაზე გადავიდეს და უზრუნველყოს ბორჯომის ავტოსატრანსპორტო კანტორა საკმაო ავტობუსებით.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, ცალკეულმა უწყებებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის, ყველა პირობა შეუქმნან მოაგარაკეებს ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის.

რეიდის მონაწილენი: შ. აბრამაშვილი, საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის სორგანიზაციო განყოფილების გამგე, დ. ბიმბილეიშვილი, რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშით" რედაქტორი, ლ. შერბელაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე, ვ. ბერგენიძე, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

არც მამლის ყივილი გაუგონია, არც შინაური ბატების საგანთიადო გნიასს დაუფრთხია მოხუცისათვის ძილი. მაინც უთენია გამოეღვიძა. ლოგინზე წამოჯდა და მარჯვენა ხელი საწოლის თავისაკენ წაიღო, სადაც საშინაო კაბა ეგულებოდა გადაკიდებული. მაგრამ თავისი კაბის ნაცვლად ლითონის ცივი, გლუვი ზედაპირი მოხვდა ხელში. რდნავ შეკრთა, წარბები აზიდა და ფართოდ გაახილა თვალები, მაგრამ ვიდრე რამეს დაინახავდა ნამძინარევი, უკვე მიხვდა, რომ შინ არ იყო.

„უცებ სამტრედიაში არ მეგონა ჩემი თავი!",—ხმამაღლა თქვა მან, ეტყობოდა ვიღაცისათვის სურდა გაეზიარებინა თავისი ფიქრები, მაგრამ ოთახში მის გარდა არავინ იყო. მეზობელი ოთახიდან ხმამაღალი სუნთქვა ისმოდა: იქ ჯერ კიდევ ღრმად ეძინათ.

ქალი ისევ მიწვა და საბანი წაიხურა, თუმცა იცოდა, უკვე არ დაეძინებოდა.

ღია ფანჯარასთან სიო წყნარად არხევდა ალუბლის ტოტს. მოხუცმა შეხედა ახალშეწოლილებულ ნაყოფს და კვლავ სოფლისაკენ გაექცა ფიქრი: „ჩემი რძალი ალბათ უკვე ფეხზე დგას და უჩემოდ ცოდვილობს ოჯახში. ძროხას ვერ გამოწველიდა, ჩემს მეტს არავის იკარებს ის საბვალე. გამიშრება, ნამდვილად გამიშრება."

ოჯახზე დარდმა არ მოასვენა. ჩაიცვა და აივანზე გავიდა. გრილოდა. მზის პირველი სხივები ვარდისფრად ენთო ახალთახალი შენობების თეთრ ფარდებზე, ჭადრების ნორჩ, ჯერაც ზრდადაუსრულებელ ფოთლებზე.

ქუჩა ცარიელი იყო, მხოლოდ მოხუცი მიეზოვი დათუსთუსებდა იქვე სახლის წინ: ხეებსა და ყვავილებს რწყავდა. ქალს უნდოდა მისი მაგალითისთვის მიეგბაძა: ეზოში ჩასულიყო და ხეხილის ნორჩი ნარგავები მოერწყა, მაგრამ სტუმრისაგან ასეთი მუყაითობის გამოჩენა რატომღაც ზედმეტად და უხერხულად ეჩვენა. მოწყენილი გაჰყურებდა მძინარე ქალაქს და გაკვირვებული და აღშფოთებული იყო: „გაშხლართულან და სძინავთ, ნეტავ ასე სიზარმაცეში ააშენეს ეს ამოდენა ქალაქი თხუთმეტ წელიწადში".

ბოლოს ვერ მოითმინა და მძინარე ქალიშვილთან მივიდა:

— ადექი, შვილო, გეყოფა ძილი, რა ხანია გათენდა, სამსახურში წასასვლელი ხარ.

— მოიცა, დედა, ჯერ შვიდ საათიც არ არის.

— დედა შვილო, შენ საათს რას უყურებ, ვერ ხედავ მზე დაგდგა თავზე? ადექი, ორი სატყუა დამელაპარაკე ამ დილას, თორემ მერე წახვალთ ორივე ცოლქმარი და გამოვყრუვდები სახლში მარტო.

ისე ყველაფერი კარგად აგიხდათ: წავიდნენ სამუშაოზე სიძე და ქალიშვილი და დარჩა ლეონინე შინ მარტო ოთხკედელშუა გამოკეტილი. ამისათვის ეპატიჟებოდნენ რუსთავში, ჩამოდი, ჩამოდიო? რა გააძლებინებს ახლა მთელი დღე ასე დამუნჯებულს და დაყრუებულს. მე შენ გითხრა, მეზობლებში არ შეიქციოს თავი. არა, დიდი ცუდი წესი კი აქვთ ამ დიდ ქალაქებში: არიან თავისთვის ჩაკეტილი და ჩაგმანული. მთელი დღე რომ იარო ქუჩაში, ხმას არავინ გაგცემს, არც გამარჯობა, არც გაგიმარჯოს — დამდურებულივით უბრად ჩაგვლიან და ზედაც არ შეგიხედავენ. ავტობუსშიაც რომ მუჯჯებივით სხედან! გვერდში გიზის ადამიანი და ვერ გამოლაპარაკებიხარ. დაალოცოს სოფელი, უსალმოდ და მოუკითხავად გვერდს ვინ ჩაგვლის, სამტრედიაში ემელიანე ყაჭეიშვილის ჭიშკრიდან მოყოლებული ელიავების მინდვრამდე ყველა ლეონინეს ნაცნობი და მეზობელია, მთელ იმ კუთხეში იმისთანა ვინ იქნება გიორგი ხურცილავას ოჯახს არ იცნობდეს. რა სჯობს ახლა მის ეზო-გარემოში, კუთხე მეზობლებში ჩაჯდომას. მოიცლიან თუ არა ქალები, სადმე ხისძირას, ახალგათბულ კოინდარში მოირთხავენ ფეხს, მოჰყვებიან მთისას, ბარისას. ზოგს აქებენ, ზოგს ამაგებენ და წავა მასლაათი აქაურ-იქაურზე. ხოლო თუ ზოგჯერ დავაც მოუვათ რამეზე და ერთმანეთიც შემოელანძღებათ ხელში, არა უშავს: წუთიერი წყენა მალე გაივლის და კვლავ მოსიყვარულე მეზობლები არიან, ერთმანეთის ჭირის და ლხინის მოზიარენი.

ეს ქალაქელები კი რას გვანან! რომ იწვებოდე, გარეთ არავინ გამოგხედავს. არა, ისეთი ცხოვრება არ წამს, სწორედ, ლეონინეს! დედა ბეჩა, ერთმანეთში ასე გამოთიშვა და გამოწყვეტა გაგონილა? არა, ბატონო, რომ დაბათ, ლეონინე აქ გამჩერებელი არ არის. მართალია, ქალიშვილს დაპირდა — ორ კვირას დაიცდიო, მაგრამ, ძალიანაც რომ ეწყინოს, ორ დღესაც ვერ გაჩერდება. არა, აჰ, არაფრის დიდებით, დღესვე ჩაჯდება მატარებელში და წავა.

წასვლით კი წავა, მაგრამ საღამომდე გაძლება არ გინდა? რა დაღამებს დღევანდელ დღეს.

ყველაზე მეტად უსაქმოდ ჯდომა უმძიმდა ბავშვობიდანვე შრომა-გარჯას შეჩვეულს. მაგრამ რამდენიც არ ეცადა, საქმე ვერ მიაგნო სხვის ოჯახში და ვერც ვერაფერს გადაეყოლა გული. უმიზნოდ დაფრატუნობდა ოთახიდან ოთახში. ბოლოს გადაწყვიტა 'ადილის კეთება, შესდგომოდა ადრიანად.

ის იყო სამზარეულოში გავიდა და საჭირო ჭურჭელი გადმოალაგა, რომ ვიღაცამ დაუკითხავად შემოაღო კარი. ხუთიოდე წლის გოგონა თამამად მივიდა მასთან და უთხრა:

— დედამ ცოტა სიმინდის ფქვილი გამომიგზავნეო.

— შენ ვისი ხარ, შვილო?

ბავშვი მცირე ხანს სდუმდა. მერე ისეთი თვალებით ახედა ქალს, თითქოს საყვედურობდა, ნუთუ არ იცი, და უპასუხა:

— გერვასი ხუციშვილის.

— კი მარა, ვისთან გამოგგზავნეს?

— თქვენთან, — მტკიცედ და უყოყმანოდ მიუგო ბავშვმა.

ქალმა სიყვარულით შეხედა გოგონას და მის წინ ჩაიმუხლა.

— მერე იცი მე ვინა ვარ?

— ვიცი, თქვენ ლეონინე ბებო არა ხართ, დეიდა მარგოს დედა.

— შენ კი გენაცვალე, — გაუხარდა მოხუცს და ბავშვს ფუნთულა ხელზე აკოცა.

— დედამ თქვა, თავისი ჭურჭლით გამოგატანსო.

ქალმა ღრმა თასი აუვსო და კარებამდე მიაცილა გოგონა. ისე იყო ნასიამოვნები, თითქოს იქით კი არ წაეღოთ, აქეთ მოეტანოთ საჩუქარი.

მალე ბავშვი ისევ შემობრუნდა, ერთხანს უსიტყვოდ შეჰყურებდა მოხუცს. მერე ჰკითხა:

— სადილს აკეთებთ?

— ჰო, შვილო.

მიიღო თუ არა პასუხი, გოგონა მაშინვე გაიქცა. ქალმა გაიგონა, როგორ ჩაირბინა მან კიბის რამდენიმე საფეხური და ხმამაღლა გასძახა: „დედაკო, აკეთებს, აკეთებს სადილს". იმავე წუთს ისევ აკრიალდა ხის კიბე და გოგონა ოთახში შემოუძღვა ახალგაზრდა ქალს. ლეონინე მაშინვე მიხვდა, ეს ქალი ამ ბავშვის დედა უნდა ყოფილიყო, სტუმარმა ძველი ნაცნობივით მოიკითხა მოხუცი. მერე გამოუცხადა, რომ დღეს სადილს მე ვაკეთებ და თქვენ ნურაფერზე შეწუხდებითო, თან დასძინა, თქვენი ჩამოტანილი წიწილებიც ჩემთან არის შესაწვავადო.

— არ მოგწყინდათ მარტო? წამობრძანდით ჩვენთან, — შეიპატიჟა წასვლისას მეზობელმა მოხუცი, — ნუ მოგერიდებათ, ჩვენ ამ სახლში ერთი ოჯახივითა ვართ.

ბეჩა! არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ლეონინეს ეგონა. აქაც ჰქონიათ ერთმანეთში მეზობლებს პატივისცემა და სიყვარული.

თავსაფარი დაიხურა და მეზობელთან გავიდა. ჯერ მართლაც ერიდებოდა, მაგრამ მალე შინაურად იგრძნო თავი და რჩევა-დარიგებასაც კი სთავაზობდა დიასახლისს, ეს იმერული კერძი ასე კეთდებაო.

ლეონინე განსაკუთრებით ოჯახის მოხუც დიასახლისს შეეწყო, რომელიც სიღნაღის რაიონიდან სამუდამოდ გადმოსახლებულიყო რუსთავში შვილებთან.

— ანაგელი ხარ? რას მეუბნები. ამას წინათ ერთმა ჩვენმა ნათესავმა ანაგელი ჯანიაშვილის ქალი მოიყვანა ცოლად, იქნება იცნობდეთ, მზია ქვია სახელად.

— როგორ არა, მეზობელია ჩემი.

საერთო ნაცნობის აღმოჩენამ ძალიან გაახარა და გაახალისა ქალები.

სამუშაოდან დაბრუნებულ სიძე-ქალიშვილს მეზობელთან დახვდა ლეონინე. მოხუცს შერცხვა და დაიბნა. სადილი არ გამაკეთებინეს და უსაქმოდ ვერ გავჩერდიო, — მოიბოდიშა.

სუფრის გაშლის წინ მასპინძელმა გერვასი ხუციშვილმა მეუღლე გააფრთხილა:

— ივანე ვოლოშინს დაუძახე. ზესტაფონში ნაცხოვრები კაცია. იმერული ღვინო და საქმელები უყვარს.

— მარგო, მარგო, ბარემ ვახტანგ ახალკაცსაც შესძახე. მარტოა შინ. მეუღლე გუშინ სოფელში გაისტუმრა, ცხელი კერძი არ ექნება. — თხოვა თავის მხრივ გივი შავიშვილმა.

— დედიკო, ნუნუ და მერიკო? — ჩაურთო პატარა თამრიკომ და საყვედურით შეხედა ძია გივის — უფროსს ეპატიჟები და პატარები რათ დაივიწყეო.

ოთხი ოჯახის წევრები ისე თამამად შემოუსხდნენ სუფრას, სტუმარ-მასპინძელს ვერ გაარჩევდით.

ნასადილევს ეზოში, ტალავერქვეშ ნარდის თამაში გაჩაღდა. წაგებული ადგებოდა და თავის ფეხით მიდიოდა ნაყინის საყიდლად. ბოლოს, როცა იმდენი ნაყინი იყიდეს, მთელი უბნის ბავშვები და ქალები ჭამას ვერ აუვიდნენ, ლუდზე გადავიდნენ.

ლეონინე ისე გაერთო მეზობლებში, მთლად დაავიწყდა თავისი ამდილანდელი გადაწყვეტილება. ხოლო როცა გაახსენდა, უკვე გვიან იყო.

არა უშავს, ხვალ წავა. სხვა არ იყოს რა, სირცხვილია, რას იტყვის სიძე.

მეორე დღეც გათენდა. მესამეც, მეათეც, მაგრამ ლეონინე სამტრედიაში გამგზავრებას არ ჩქარობდა.

კაცმა რომ თქვას, რათ უნდა აჩქარდეს, შვილთან არის, მტერთან ხომ არა. — თავს იმართლებდა მოხუცი. გულის სიღრმეში კი შეუძლებელი იყო არ გამომტყდარიყო: მეზობლების ხათრმა უფრო შეიტყუა ამდენ ხანს. არ ეგონა სწორედ თუ ასე შეეწყობოდა და შეეთვისებოდა აქაურობას.

ხანდახან ოჯახზე დარდი მაინც შეაწუხებდა, მაგრამ მეზობლებს გაიხსენებდა და მშვიდდებოდა: „არაფერი არ უჭირს — მეზობლები იქ არ არიან? მიხედავენ, მიეხმარებიან იმ ქალს".

აქ მეზობლების ხათრით და სიყვარულით გაჩერდა ამდენხანს, იქ, სოფელში მეზობლების იმედით ყავდა მიტოვებული ოჯახი, რომელსაც წინათ ორიოდე დღითაც არასოდეს მოშორებია.

და მთელ თავის სიცოცხლეში მგონი პირველად ახლა იგრძნო მოხუცმა მეზობლობის ფასი. რა ვიქნებოდით ადამიანები უმეზობლოდ და უერთმანეთოდ. რარიგ მოსაწყენი და უფერული იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, კეთილი მეზობლები რომ არ გვყავდნენ, როგორ გავწამდებოდით და გავიტანჯებოდით. რა გააძლებინებდა ამ ორ კვირას ლეონინეს რუსთავში, მართლაც შინ რომ ყოფილიყო გამოკეტილი. კარგი მეზობელი შვილსა და ნათესავზე არა ნაკლებ ძვირფასი და ახლობელია. ღმერთმა კეთილი მეზობელი გვიმრავლოს. ადამიანი ადამიანის იმედითაა ღონიერი, თორემ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია.

ლეონინე წესიერ ადამიანებზე ლაპარაკობს, თორემ მას ისეთი მეზობლებიც უნახავს, გატეხილი თეფშისათვის, ორი ეზოს მიჯნაზე ამოსული მწარე ტყემლისთვის რომ ჩხუბობენ და უჩივიან ერთმანეთს.

მ. მიქაძე.

რუმინეთში გამოიცა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებული

ბუქარესტი, 25 ივნისი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებული სათაურით: „რევიზიონიზმის წინააღმდეგ". კრებულში შეტანილია ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებნი რევიზიონიზმის შესახებ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

პოლონეთში ჩავიდა ინდონეზიის მთავრობის დელეგაცია

ვარშავა, 25 ივნისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება გუშინ ვარშავაში ჩამოვიდა ინდონეზიის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზღვაო კომუნიკაციათა მინისტრი მ. ნაზირი.

„ეს თვით ლიბანელი ხალხის საქმე და უფლებაა"

ვარშავა, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს „ტრიბუნა ლუდუ", „ჟიცე ვარშავი", „ძენიკ ლუდოვი" და პოლონეთის სხვა ცენტრალური გაზეთები აქვეყნებენ ლიბანის ამბებისადმი მიძღვნილ მასალებს. პრესა აქვეყნებს საკდესის განცხადებას ამ საკითხზე. „ტრიბუნა ლუდუ" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირი აფრთხილებს ინტერვენციის ორგანიზატორებს".

ლიბანის პრობლემის გადაჭრა, წერს გაზეთი „ჟიცე ვარშავი", თვით ლიბანელი ხალხის საქმე და უფლებაა. ლიბანის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის ცდები მშვიდობის ძალების ბრძოლაში გამოწვეულა.

„ძენიკ ლუდოვი" საკდესის განცხადებიდან გამოპყოფს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია განურჩევლად მოეკიდოს ლიბანში უცხოეთის ინტერვენციის მომზადებას.

ქვანახშირის ამოღების საბჭოთა ხერხს გამოცდიან ინგლისის შახტებში

ლონდონი, 25 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის" სამეცნიერო მიმომხილველის ცნობით, ქვანახშირის საკითხთა ეროვნულმა სამმართველომ გადაწყვიტა გამოსცადოს ინგლისის შახტებში ქვანახშირის ამოღების ჰიდროხერხი, რომელსაც საბჭოთა კავშირში იყენებენ.

როგორც მიმომხილველი აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც სამმართველომ შეისწავლა ინგლისელ სპეციალისტთა დელეგაციის მოხსენება, რომლებიც გასულ წელს იყვნენ საბჭოთა კავშირში. მოხსენებაში მაღალი შეფასება ეძლევა ამ ხერხს.

„საბჭოთა კავშირი მუდამ ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას"

დამასკო, 25 ივნისი. (საკდესი). დამასკოს პრესა უდიდეს ყურადღებას უთმობს საკდესის განცხადებას ლიბანის ამბების გამო. გაზეთები პირველ გვერდზე დიდი სათაურებით აქვეყნებენ საკდესის განცხადების სრულ ტექსტს.

„ან-ნური" სათაურში აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირი აფრთხილებს იმპერიალისტებს, რომ მას არ შეუძლია განურჩევლად მოეკიდოს ლიბანის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის მზადებას".

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ საკდესის განცხადება „დროული და დიდმნიშვნელოვანია", გაზეთი წერს: „საბჭოთა კავშირის განცხადება ადასტურებს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ განზრახვებს. საბჭოთა კავშირი, რომელიც მუდამ ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, არ გააკეთებდა ასეთ განცხადებას, რომ არ იყოს სერიოზული ნიშნები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ იმპერიალისტები მზად არიან დაიწყონ აგრესია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არაბი ხალხის წინააღმდეგ".

სხვა გაზეთების კომენტარებშიც აღნიშნულია, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ჩარევას ლიბანის საშინაო საქმეებში აუცილებლად მოჰყვებოდა საერთაშორისო ვითარების გამწვავება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა

პარიზი, 26 ივნისი. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა საუზმეზე, რომელიც გაზეთების დიპლომატიურ მიმომხილველთა ასოციაციამ გამართა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა გააკეთა განცხადება საფრანგეთის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

კუვ დე მიურვილმა ხაზგასმით აღნიშნა უწინარეს ყოვლისა, რომ საფრანგეთის პოლიტიკა დარჩება უცვლელი და განისაზღვრება პირველ რიგში იმით, რომ საფრანგეთი ეკუთვნის „დასავლეთის სამყაროს", აგრეთვე მისი „უპირველესი ინტერესებით ჩრდილოეთ და შავ აფრიკაში".

შემდეგ მან მოითხოვა საფრანგეთის უფრო აქტიური მონაწილეობა (რდიოლოეთ ატლანტიკის კავშირის საქმიანობაში „როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში" და აღნიშნა, რომ საფრანგეთი დარჩება ერთგული თავის დასავლეთევროპელ პარტნიორებთან დადებული შეთანხმებებისა.

შეეხო რა ლიბანში არსებულ მდგომარეობას, კუვ დე მიურვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლის-ამერიკის ინტერვენციის შემთხვევაში „საფრანგეთი ვერ დარჩება განზე", და განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას მუდმივი კონტაქტი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან საკითხებზე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთს შეეხება.

საპრეზიდენტო დემონსტრაცია ამერიკის მოსკოვის საელჩოს შენობის წინ

25 ივნისს ნაშუადღევს ამერიკის მოსკოვის საელჩოსაკენ გაემართნენ მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი ჯგუფები. დემონსტრანტები, რომელნიც საელჩოს ახლოს გაჩერდნენ, აღშფოთებას გამოთქვამდნენ ამერიკელ ხელისუფალთა ქცევის გამო, რომლებმაც არ განახორციელეს ღონისძიებანი მტრულ, პროვოკაციულ გამოხდომათა წინააღმდეგ, რაც ამ დღეებში მოეწყო ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის წინ. ბევრ დემონსტრანტს ხელში ეჭირა პლაკატები წარწერებით: „სირცხვილი ამერიკელ ხელისუფლებს — პროვოკაციების მფარველებს!", „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას!", „გაუმარჯოს უხგრეთის სახალხო რესპუბლიკას!".

ღობეს საელჩოს შენობის ფასადის გარშემო მიაკრეს ქაღალდისა და ფანერის პლაკატები: „მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ბინძურ პროვოკაციებს!", „გაუმარჯოს საბჭოთა და უნგრელი ხალხების მეგობრობას!", „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!". (საკდესი).

პოლ რეინო საქართველოში

ორ დღეს იყო საქართველოში საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ეროვნული კრების საფინანსო კომისიის თავმჯდომარე პოლ რეინო მეუღლითურთ.

ფრანგ სტუმარს აინტერესებდა საბჭოთა საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარე. მან დაათვალიერა თბილისის ახალმშენებლობანი, იყო რუსთაველში. აქ პოლ რეინომ დაათვალიერა ამერიკაკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა. საპატიო სტუმრების წიგნში მან დატოვა შემდეგი ჩანაწერი: „დიდი ინტერესით დავათვალიერე ეს მძლავრი მეტალურგიული ქარხანა. ის, რაც ამ ათ წელიწადში გაკეთებულა, კოლოსალურია. უზარმაზარი ქალაქი კომფორტაბელური საცხოვრებელი სახლებით, კულტურის სასახლით, რომელსაც აქვს მაყურებელთა დარბაზი და ბიბლიოთეკა, აღტაცებას იწვევენ. ეულო�ა ამ შესანიშნავი ქმნილების შემქმნელებს და ქალაქის ახლადფელ მშენებლებს".

პოლ რეინო მეუღლითურთ გაემგზავრა აგრეთვე მცხეთაში, სადაც ვაიცნო წარსულის არქიტექტურის გამოჩენილი ძეგლები. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ისინი დაესწრნენ ოპერა „აბესალომ და ეთერს".

ფრანგი სტუმრის პატივსაცემად გაიმართა სადილი.

25 ივნისს პოლ რეინო მეუღლით, გაგაგრძობს რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობას, სოჩში გაემგზავრა.

ვაგზალში სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ბ. ა. ჩხეიძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ე. ლომიძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. მ. ბუაჩიძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. ქოჩორაძემ და სხვ.

(საკდესი).

სურათზე: თეთრი გედები თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის აუზში.

ფოტო ბ. თათარიშვილისა.

ლენინგრადის თოჯინების თეატრის გასტროლები

ლენინგრადის თოჯინების სახელმწიფო დიდი თეატრი თავისი არსებობის 26 წლის მანძილზე მრავალჯერ ყოფილა გასტროლიორ მოსკოვში, ბალტიისპირეთში, შორეულ აღმოსავლეთში, ვოლგასა და ამიერკავკასიაში. მაგრამ ამჯერად ჩვენი თეატრის ჩამოსვლა საქართველოს დედაქალაქში ემთხვევა სათოჯინო ხელოვნების მთელ რიგ ახალ და საინტერესო მოვლენებს.

თუ წინათ თოჯინების თეატრები მხოლოდ ბავშვებისათვის მუშაობდნენ, ხოლო უფროსები იცნობდნენ მოსკოვის ერთადერთ ცენტრალურ თეატრს ს. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით — დღეს ეს „მონოპოლია" უკვე მთავრდება. იშვიათია ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში მომუშავე ისეთი თოჯინების თეატრი, რომელსაც ამ ბოლო დროს არ დაედგას „ეშმაკის წისქვილი" და „შობის წინა ღამე". მოზრდილთათვის მართავს სპექტაკლებს ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრიც.

მაყურებელთა ყურადღებას სულ უფრო და უფრო იზიდავს ეს ორიგინალური, დახვეწილი და ფაქიზი ხელოვნება. უკანასკნელ ხანს ეს ხელოვნება ძალიან გაიზარდა. შეიძლება აღინიშნოს სათოჯინო ხელოვნების თავისებური „რენესანსი".

შარშან აგვისტოში ახალგაზრდობის ფესტივალზე მოსკოვში მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეთოჯინე ჩამოვიდა. სამი თვის შემდეგ, დეკემბერში, პრაღაში შეიკრიბა მეთოჯინეთა საერთაშორისო ორგანიზაციის V კონგრესი, ხოლო ამა წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის მეთოჯინეებმა თავიანთი ოსტატობის საუკეთესო მიღწევების ჩვენება მოაწყეს მოსკოვში.

ბოლოს, სულ ახლახან ბუქარესტში დამთავრდა თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალი.

ფრანგულ, ჩეხურ, ინგლისურ და გერმანულ სათოჯინო ხელოვნებასთან ერთად ჩვენმა საბჭოთა ხელოვნებამ საპატიო ადგილი დაიკავა. თუ ყველა ამ მოვლენას გავითვალისწინებთ, ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის გასტროლებს თბილისში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ გაიზარდა ახლა მაყურებელთა კულტურული მოთხოვნილება. ჩვენ ვნახეთ მოსკოვის ფესტივალზე საქართველოს მეთოჯინეები, რომლებმაც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს და მთელი გულით ვუკრავდით მათ ტაშს. ჩვენ მღელვარებით ვგრძნობთ, თუ რაოდენი პასუხისმგებლობა გვეკისრება ახლა.

28 ივნისს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გასტროლებს დაიწყებს ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრი.

ჩვენ ვისურვებდით, რომ თბილისელ მაყურებლებს ჩვენ მიერ ნაჩვენებ ორ კომედია-ხატიერაში შეენიშნათ არა მარტო მხიარული და სასაცილო, არამედ სერიოზული შინაარსიც. ძიოველი მათგანია ვლ. პოლიაკოვის „სიცილიც, ცრემლიც, სიყვარულიც". მეორე კომედიაა ი. ილფისა და ე. პეტროვის „თორმეტი სკამი" (ინსცენირება). ამ სპექტაკლში გამოყენებულია სხვადასხვა სისტემის თოჯინები. ძირითადი შემსრულებლები არიან ოცამდე ჯოხიანი თოჯინები. მონაწილეობენ აგრეთვე რთულმექანიზმიანი, ჩინური ჩრდილოვანი და ჩვენს თეატრში გამოგონილი თავისებური „მფრინავი" თოჯინები.

ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის კოლექტივი მღელვარებით ელის თბილისელ მაყურებელთან მომავალ შეხვედრებს.

მ. კოროლიოვი,
რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი.

წყალბურთელთა ტურნირი

ქ. გენტში სამ დღეს გრძელდებოდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბელგიის, საფრანგეთის, პოლონეთისა და ჰოლანდიის გუნდების მონაწილეობით.

დასკვნითი შეხვედრებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ლიდერების — იუგოსლავიისა და საბჭოთა წყალბურთელების შეჯიბრებამ. მატჩი დამთავრდა იუგოსლავიის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 6:2.

ამრიგად, იუგოსლავიის წყალბურთელთა კოლექტივმა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის გუნდი, მესამეზე — ჰოლანდიის გუნდი.

სამხედრო ოლქის სპარტაკიადა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენთა სპარტაკიადა ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო შეჯიბრება იყო. თბილისის სპორტულ ბაზებზე ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ მოკრივეები, მსროლელები, მცურავები, მძლეოსნები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები სამხედრო ოლქის გარნიზონებიდან და ნაწილებიდან.

განვლილმა შეხვედრებმა ცხადყო მებრძოლთა კარგი მომზადება. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სხვადასხვა სახეობებში, კერძოდ, ცურვაში, მძლეოსნობასა და ძალოსნობაში, დამყარებულ იქნა სამხედრო ოლქის ახალი რეკორდები.

წარმატებით ჩაიარა შეჯიბრებამ სამხედრო სამკეთილში (200-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა, მცირე ალიბრის შაშხანის სროლა 50 მეტრზე, სამიზნეზე გრანატის ტყორცნა). ამ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დიკავა სერჟანტმა კურჩიკმა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ერევნის გარნიზონის სპორტსმენთა კოლექტივმა.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

საპრეზიდენტო საკითხი

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფაკულტეტების პირველ კურსზე 1958-59 სასწავლო წლისათვის შემდეგ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში და სპეციალობებზე:

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი

თბილისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
(ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა № 23)
სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე.

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტროფიკაცია, 3. ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები, 4. სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია, 5. სილიკატების ტექნოლოგია, 6. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები. 7. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია.

რუსთავის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
(ქ. რუსთავი, მე-10 სამუშაოლო სკოლა)
სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე.

1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტროფიკაცია. 2. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, 3. შავი ლითონების მეტალურგია, 4. ლითონების წნევით დამუშავება.

ქუთაისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
(ქ. ქუთაისი, შაუმიანის ქ. № 1, მე-10 საშ. სკოლა)
სწავლება ქართულ ენაზე

1. ჰიდროტექნიკური და ჰიდრომელიორაციული მშენებლობა, 2. მადნეულის საბადოთა დამუშავება, 3. სამთო ელექტრომექანიკა, 4. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, 5. ბოჭკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგია.

ბათუმის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
(ქ. ბათუმი, შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი)
სწავლება ქართულ ენაზე.

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები, 3. ქვების წარმოების მანქანები და აპარატები.

ჭიათურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
(ქ. ჭიათურა, პირველი სამუშაოლო სკოლა)
სწავლება ქართულ ენაზე.

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. მადნეულის საბადოთა დამუშავება, 3. სამთო ელექტრომექანიკა.

საღამოს სწავლების ფაკულტეტი
(ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა № 23)

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. (ქართული სექტორი), 2. სანიტარული ტექნიკა (ქართული სექტორი), 3. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტროფიკაცია (ქართული სექტორი), 4. სამკერვალო და ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია (ქართული სექტორი). 5. ბოჭკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 6. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი).

ქართული სექტორის ყველა სპეციალობაზე (გარდა ქიმიური და სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალობებისა) შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

შენიშვნა: 1. ქიმიურ და-კვების ტექნოლოგიის სპეციალობებზე შემომსვლელნი ნაცვლად მათემატიკის წერისა გამოცდას აბარებენ ქიმიაში (ზეპირი).

2. რუსულ სექტორზე შემომსვლელნი ნაცვლად ქართული ენისა და ლიტერატურისა (წერა) გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს: 1. ავტობიოგრაფია, 2. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), 3. ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ), 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან. დამტკიცებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ წინა ორი წლის განმავლობაში გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, 5. დახასიათება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან, რომელიც მუშა-მოსამსახურისათვის ხელმოწერილ უნდა იქნას ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, 6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი ცნობები შემოწმებული უნდა იყოს შრომითი დეპუტატების რაიონული საბჭოების მიერ.

შენიშვნა: საღამოს სწავლების ფაკულტეტზე შემსვლელთ. გარდა ზემოაღნიშნული საბუთებისა, ხელთ უნდა ჰქონდეთ პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის ქუთაისის, ბათუმისა და ჭიათურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში განცხადებების მიღება იწარმოებს 9 ივლისამდე, გამოცდები მოეწყობა 10 ივლისიდან 21 ივლისამდე. თბილისისა და რუსთავის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში განცხადებების მიღება იწარმოებს 20 ივლისამდე. გამოცდები ძოეწყობა 21 ივლისიდან 30 ივლისამდე.

საღამოს სწავლებაა ფაკულტეტზე განცხადებები მიიღება 24 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან 14 აგვისტომდე.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში და საღამოს სწავლების ფაკულტეტზე განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) 18 საათიდან 20 საათამდე.

კონკურსი დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე იწარმოებს პუნქტების მიხედვით, ხოლო საღამოს სწავლების ფაკულტეტზე — საფაკულტეტო.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ სექტორზე 1958-1959 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს — მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის.

სწავლების ვადა ორი წელი.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ორივე სქესის მოქალაქეები 30 წლის ასაკამდე. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები მიუხედავად საშუალო სკოლის დამთავრების წლისა. დანარჩენები აბარებენ გამოცდებს სრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება—წერა), 2. რუსულ ენაში (ზეპირი), 3. სსრკ ხალხთა ისტორიაში.

განცხადება შემოტანილი უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით, შემდეგი საბუთების თანდართვით. 1. მოწმობა (ატესტატი) განათლების შესახებ (დედანი), 2. დაბადების მოწმობა ასლი (დამოწმებული ნოტარიუსის მიერ), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ. უქუდოდ), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. სამხედრო ვალდებულთათვის სამხედრო ბილეთი ან ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 8. ცნობა მუშაობის ადგილიდან, დაკავებული თანამდებობისა და მუშაობის სტაჟის აღნიშვნით, ხელმოწერილი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, 9. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი წარმოებისა (დაწესებულების) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ.

შენიშვნა: მე-8 და მე-9 პუნქტებში აღნიშნულ ცნობას და დახასიათებას წარმოადგენენ ის პირები, რომლებსაც აქვთ ორი და მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისას, კონკურსგარეშე მიიღებიან: ა) ის პირები, რომლებსაც აქვთ სახალხო მეურნეობაში პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილენი, გ) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი: რიგითი, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობა.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადება მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს ა./წ. 4 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა დღეებისა სასწავლებლის კანცელარიაში საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9. ტელ. № 3-52-10.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი ფაკულტეტებისა და საღამოს სწავლების განყოფილების პირველ კურსზე 1958-59 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

I. დღის განყოფილება

1. რკინიგზის ექსპლოატაცია (რუსული სექტორი), 2. სამშენებლო მანქანები და მოწყობილობა (რუსული და ქართული სექტორები), 3. ხიდები და გვირაბები (ქართული სექტორი), 4. რკინიგზის მშენებლობა (ქართული სექტორი).

II. საღამოს განყოფილება

1. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია (ქართული და რუსული სექტორები), 2. რკინიგზის ექსპლოატაცია (ქართული სექტორი), 3. სამანევრო მანქანები და მოწყობილობა (რუსული სექტორი), 4. სამანევრო და საძრავწველო ნაგებობანი (ქართული სექტორი), 5. ხიდები და გვირაბები (რუსული სექტორი), 6. რკინიგზის მშენებლობა (რუსული სექტორი), 7. თბომავლები და თბომავლების მეურნეობა (ქართული სექტორი).

III. დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი
(სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე)

1. სავაგონო მშენებლობა და მეურნეობა, 2. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია, 3. ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა ოკინიგზის ტრანსპორტზე, 4. რკინიგზის ექსპლოატაცია, 5. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 6. რკინიგზის მშენებლობა, 7. რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 8. მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 9. სამშენებლო საგზაო მანქანები და მოწყობილობა.

შემომსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ა) დღის განყოფილებაზე:

1. მათემატიკაში (წერა და ზეპირი), 2. ფიზიკაში (ზეპირი), 3. უცხო ენაში (ზეპირი), 4. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე, 5. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე, 6. რუსულ ენაში იწარმოებს გასაუბრება ქართულ სექტორზე შემომსვლელთათვის.

ბ) დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე:

1. მათემატიკაში (წერა და ზეპირი), 2. ფიზიკაში (ზეპირი), 3. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე, 4. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე.

განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს: 1. ავტობიოგრაფია, 2. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), 3. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ.), 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამტკიცებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ წინა ორი წლის განმავლობაში ყოველწლიურად გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა. შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი ცნობები შემოწმებულ უნდა იქნას შრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების მიერ. 5. დახასიათება საძუშაო ადგილიდან მოსამსახურისათვის — ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ხელმოწერილი, კოლმეურნეებისათვის — კოლმეურნეობის გამგეობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ხელმოწერილი. 6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

შენიშვნა: ინსტიტუტში შემომსვლელთ გარდა ზემოაღნიშნული საბუთებისა ხელთ უნდა ჰქონდეთ პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

განცხადებები მიიღება: ა) დაუსწრებელ და საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე 24 ივლისამდე, 17 საათიდან 20 საათამდე, ბ) დღის სწავლების ფაკულტეტებზე 31 ივლისამდე, 12 საათიდან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა:

ა) დღის სწავლების ფაკულტეტებზე 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე,

ბ) საღამოს სწავლების ფაკულტეტზე 25 ივლისიდან 14 აგვისტომდე,

გ) დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე 25 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 98.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გორდა (მე-4 ა.ბ. მე-9 წარმ.), **ძარჯანიშვილის სახელობის** — მარინე, **გრიბოედოვის სახელობის** — სიხარულის ძიებაში, **მუსიკალური კომედიის** — ცირკის პრინცესა, **ფილარმონიის საზაფხულო** — ქუთაისის ქართული ცეკვის ансამბლი (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზაფხთრო და საზაფხულო) — სომხური კინოფილმების ფესტივალი, **ამირანი** (საზამთრო) — „1918 წელი" („ოდები" — II სერია, ფართოეკრანიანი), **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — სამი გამოვიდნენ ტყიდან, **სპარტაკი** — ვინ არის დამნაშავე, **კომკავშირელი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ვაკის პარკი, კიროვის სახელობის პარკი, კოშუნარების ბაღი** — მზის ჩასვლის წინ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), — ბრძოლა შანგანლინისათვის, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ზანგეზური, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — დედა გათხოვებას მიპირებს, **საქართველო** (საზაფხულო) — ბატონი 420, **კოლხიდა** (საზაფხულო) — სამი სარკე, **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო) — ფანფან ტულპანი, **კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო), **ყაზბეგი** — წყნარი დონი (III სერია), **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — ვარსკვლავიანი ბიჭი, **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — დარიკო, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — კალათბურთელი № 5.

მეუღლე მარიამ, შვილები რუსუდან, თენგ